ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4616850

ნომერი: AR1696922

თარიღი : 29.07.2019

გაცემის თარიღი : 02.08.2019

გაცნობის თარიღი : 12.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბასიაშვილი პ/ნ 01019005422
- თბილისი, კ.ილურიძის ქ. #50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ნომენკლატურა გაქვთ არასწორად არჩეული. ვინაიდან 2019 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება № 4500313 აღებული გაქვთ წერილობითი თანხმობა აბრებისა და რეკლამების განთავსებაზე, ხოლო წარმოდგენილი განაცხადით ითხოვთ შეთანხმებული ვიზუალის ცვლილებას, საკითხი უნდა დააყენოთ კორექტირების კუთხით. ამისათვის უნდა აირჩიოთ: I კლასის ობიექტები->აბრებისა და რეკლამების განთავსება->კორექტირება. გიხსნით ნომენკლატურის ცვლილებას.

აქვე გაითვალისწინეთ:ვინაიდან შენობა მშენებარეა წარმოსადგენია დამკვეთის თანხმობა სათანადო წესით დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი). თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს ყველა ასეთი პირი სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები (ამონაწერებით). გაითვალისწინეთ, თანხმობა ფიზიკური პირის შემთხვევაში დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით იურიდიული პირის შემთხვევაში კი ასევე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ასევე ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული, ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი.
ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ახალი გარემოებების წარმოჩენის შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.